

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის
წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზიის რექტორი:

მელქისედეკი (ხაჩიძე)

მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსი

ბრძანება №28/2; 12 დეკემბერი, 2022 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2022 -2028 წწ.

დოკუმენტი შემუშავებულია რექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, დაფუძნდა №1 საშუალო სკოლის ბაზაზე. სტრატეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს ის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც გიმნაზია იხელმძღვანელებს მომავალი 6 წლის განმავლობაში (2022-2028 წწ.) და ხელს შეუწყობს ავტორიზაციისათვის მზადებას და წარმატებით გავლას. სტრატეგიული გეგმის შესაბამისობიდან გამომდინარე ერთწლიანი განვითარების სამოქმედო და პრევენციული ღონისძიებების გეგმები შესაძლებლობას მოგვცემს გიმნაზიამ წარმატებით განახორციელოს მიზნები და ამოცანები.

- ✚ ზოგადი განათლების მიცემა მოსწავლეთათვის დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე;
- ✚ მოსწავლეების აღზრდა ეროვნულ-კულტურული, სულიერი და ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად და მათთვის ხარისხიანი განათლების მიღებაში ხელშეწყობა;
- ✚ მოსწავლეთა პროფესიული კარიერის დაგეგმვაში ხელშეწყობა;
- ✚ თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა, პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გარემოს შექმნა;
- ✚ კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება;
- ✚ მოსწავლეებში გუნდური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებაში ხელშეწყობა;
- ✚ მოსწავლეებისათვის თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობის მიცემა;
- ✚ სხვადასხვა პროექტებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში ხელშეწყობა;
- ✚ სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული, სწავლებისა და აღზრდის სტანდარტზე დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

- ✚ მოსწავლეთათვის წინაპირობების შექმნა, რათა მათ სწორად აირჩიონ თავისი მომავალი განვითარების გზა;
- ✚ სსსმ მოსწავლეთათვის განათლებაში ხელშემწყობი გარემოს შექმნა;
- ✚ მოსწავლეებში მოქალაქეობრივი აზროვნების განვითარებაში ხელშეწყობა;
- ✚ კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიების ცოდნა და გამოყენება.

ჩვენი გიმნაზიის პრინციპები ეფუძნება გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, კოლეგიალობას და გუნდურობას, სწავლების ხარისხზე მუდმივ ზრუნვას და შედეგზე ორიენტირებულ საქმიანობას.

გიმნაზიამ გამოავლინა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და მასზე დაყრდნობით შეიმუშავა გამოვლენილი ნაკლოვანებების მოგვარების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგია და გეგმები. გაითვალისწინა მასწავლებელთა პროფესიული შესაძლებლობები, მათი და დანარჩენი დასაქმებულების საჭიროებები, გიმნაზიის ბიუჯეტი და ფინანსური მდგომარეობა, მშობელთა მოთხოვნები, რამაც დღის წესრიგში დააყენა მოსწავლეთათვის ხარისხიანი, სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემის აუცილებლობა. შეფასების პროცესი, სისტემის მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა დადგა დღის წესრიგში. გიმნაზია მიზანდასახული მიდგომებით, დასაქმებული პროფესიული კვალიფიციური ადამიანური რესურსით შეძლებს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხიანი განათლების მიცემას მოსწავლეებისათვის და მშობელთა სურვილის დაკმაყოფილებას.

გიმნაზიისათვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს ეზოს ტერიტორიაზე ერთი კორპუსის აშენება, რომელშიც განთავსდება ახალი ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და დახურული სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომელიც დაიწყება 2023 წელს და დასრულდება 2026 წელს.

ამ ეტაპზე ბიბლიოთეკა გამართულია და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, თუმცა მეტი სივრცე, დიდი სამკითხველო დარბაზი დიდი მოტივაცია იქნება მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია დღეისათვის გიმნაზიაში საგნობრივად და განთავსებული - ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის, რომელიც აღჭურვილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეკომენდაციო სასწავლო რესურსებით. გიმნაზია თვლის, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ერთ სივრცეში განთავსდეს მოსწავლეთა მეტი კომფორტისათვის.

გიმნაზიას აქვს ღია სპორტული მოედანი და დახურული დარბაზისთვის გამოყენებულია სააქტო დარბაზი, სადაც უამინდობის შემთხვევაში, მოსწავლეებს უტარდებათ მაგიდის ჩოგბურთი და ტენისი. გიმნაზიის მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია დახურული სპორტული დარბაზის აშენება და კეთილმოწყობა, რისთვისაც საჭირო რესურსები გიმნაზიას აქვს.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის
სტრატეგიული განვითარების გეგმა
2022-2028 წწ.

მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების საორიენტაცი	ღონისძიების აღმწერი
1.	ავტორიზაცია	აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, სამეურნეო მენეჯერი,	2022-2023 წწ.	გიმნაზიის არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირად დარეგისტრირების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახლი ავტორიზაციის გავლის საკითხი. თუმცა, როგორ შპს-ს ავტორიზაცია უკვე ორჯერ აქვს გავლილი. გიმნაზიას ავტორიზაციის ვადა ეწურება 2023 წლის 24 აპრილს, ავტორიზაციის დებულების მიხედვით, გიმნაზიამ 180 დღით ადრე უნდა წარადგინოს მაძიებლის შევსებული კითხვარი, რომ ამ მოხდეს წყვეტილობა და დღის წესრიგში არ დადგეს მოსწავლეთა მობილობის საკითხი. რექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი აქტიურად მუშაობს ავტორიზაციის სტანდარტების სრულად დაკმაყოფილებისათვის.
2.	ყოველი სასწავლო დაწყებამდე ახალი წლის დერეფნების კოსმეტიკური შეკეთება	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, სამეურნეო მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი	2022-2028	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით და სასკოლო სასწავლო გარემოს გაუმჯობესებით, გიმნაზიას მიეცემა შესაძლებლობა საუკეთესო გარემოში განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

3.	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განახლება	რექტორი, ადმინისტრაცია სამეურნეო მენეჯერი	2022- 2023	ახალი ინვენტარი/ტექნიკა, გამართული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და სტანდარტების შესატყვისი საშუალებებისა და ინსტრუმენტების გამოყენება აამაღლებს მოსწავლეთა ცნობიერებას.
4.	გიმნაზიის ახალი ვებ-გვერდის შექმნა	აღმასრულებელი დირექტორი, ისტ სპეციალისტი	2022- 2028 წწ.	გიმნაზიის სიახლეების შესახებ, ინფორმირების მიზნით, გიმნაზიის რეგულარულად ვებ-გვერდის განახლება.
5.	ბიბლიოთეკის ფონდის განახლება	ბიბლიოთეკარი, კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი	2022 – 2028 წწ.	საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი განხორციელება, მოსწავლეებისათვის განახლებული ლიტერატურის შეთავაზება ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.
6.	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების, სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო რესურსების სრულყოფა	აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე	პერიოდულად	მოსწავლე შეძლებს დროის ეფექტურად გამოყენებას, მას ექნება ყველა საჭირო მასალის, სასწავლო რესურსების მიღების შესაძლებლობა, რომელიც თავისი შინაარსით შესაბამისობაში იქნება საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან. მრავალფეროვანი მუსიკალური ინსტრუმენტი, სხვადასხვა წრეებში ჩართულობით მოზარდს ფართო არჩევანის შესაძლებლობა მიეცემა.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

7.	გიმნაზიის ფინანსური უზრუნველყოფის გზით მოსწავლეებისათვის სააქტო დარბაზის მოწყობა	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერები	2022 – 2028 წწ.	გიმნაზიაში ტარდება სხვადასხვა სახის კლასგარეშე ღონისძიებები, სასწავლო-შემოქმედებითი აქტივობები, რისთვისაც გამოიყენება ბიბლიოთეკის სივრცე და სპორტდარბაზი. ფინანსური პრობლემის მოგვარება შესაძლებელს გახდის სააქტო დარბაზის მოწყობას, უფრო აქტიურს გახდის შემეცნებით აქტივობებს და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს კლასგარეშე ღონისძიებების გამრავალფეროვნებაში.
8.	მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა	აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერები	2022-2028 წწ.	საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია გიმნაზიის უზრუნველყოფა სასწავლო და მატერიალური რესურსებით. გიმნაზიაში მოწყობილი კლასგარეშე აქტივობებისათვის კეთილმოწყობილი ღია სივრცე გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და მათ ჩართულობას სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებებში.
9.	ახალი ბიბლიოთეკის აშენება	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერი	2022-2027წწ.	ამ ეტაპზე ბიბლიოთეკა გამართულია და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, თუმცა მეტი სივრცე, დიდი სამკითხველო დარბაზი დიდი მოტივაცია იქნება მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. გიმნაზია უზრუნველყოფს Open Biblios პროგრამის შესყიდვას და ელექტრონული კატალოგიით მკითხველთა მომსახურებას.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

10	ახალი სპორტული დარბაზია აშენება	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერი	2022-2027წწ.	გიმნაზიას აქვს ღია სპორტული მოედანი და დახურული დარბაზისთვის გამოყენებულია სააქტო დარბაზი, სადაც უამინდობის შემთხვევაში, მოსწავლეებს უტარდებათ მაგიდის ჩოგბურთი და ტენისი. გიმნაზიის მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია დახურული სპორტული დარბაზის აშენება და კეთილმოწყობა, რისთვისაც საჭირო რესურსები გიმნაზიას აქვს.
11	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერი	2022-2027წწ.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია დღეისათვის გიმნაზიაში საგნობრივად აგანთავსებული - ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის, რომელიც აღჭურვილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეკომენდაციო სასწავლო რესურსებით. გიმნაზია თვლის, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ერთ სივრცეში განთავსდეს მოსწავლეთა მეტი კომფორტისათვის და აშენდეს ახალი.

ადამიანური რესურსი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

1.	გიმნაზიაში დასაქმებული ადამიანური რესურსების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობა	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე	2022-2025 წწ.	ადამიანური რესურსების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობის მიზნით გიმნაზია შეძლებს მასწავლებლებს (თანადაფინანსებით) დაუფინანსოს შესაბამის ტრენინგ-მოდულების კურსები. შედეგად გიმნაზია უზრუნველყოფს სწავლების არსებული ხარისხის შენარჩუნებას და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალი პროფესიული მიდგომებით განათლების ხარისხის ეტაპობრივად ამაღლებას.
2.	კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდა	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის სპეციალისტი	2022 -2028 წწ.	ხარისხის მართვის სამსახურისა და მიმართულებების მიხედვით მენეჯერების სამსახურის გაძლიერება, ხელს შეუწყობს გიმნაზიაში საქმიანობის წარმართვის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაზრდას და სრულყოფას.
3.	ტრენინგებში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა	აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის სპეციალისტი და საქმისმწარმოებელი	2022-2028 წწ.	გიმნაზიაში დასაქმებულ პერსონალს გამოუმუშავდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ეფექტური მართვისა და მომსახურების უნარები, ხოლო პედაგოგიური პერსონალი აიმაღლებს კვალიფიკაციას და პრაქტიკული მიმართულებით გადამზადდება.
4.	გიმნაზიაში დასაქმებული ადამიანური რესურსების მართვა, საქმისმწარმოების წესისა და უფლება-მოვალეობების სრულყოფა	აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი	2022-2028 წწ.	სამუშაო აღწერილობის დახვეწით პერსონალი სრულყოფილად გააცნობიერებს თავის უფლება-მოვალეობას, ვალდებულებისა და ფუნქციების წინაშე პაუხისმგებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

1.	<p>საგანმანათლებლო პროგრამებში სიახლეების გათვალისწინება და სრულყოფა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების უნარ-ჩვევების გამოვლენა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა</p>	<p>დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვისა და კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერები</p>	<p>2022-2028 წწ.</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამებში სიახლეების გათვალისწინება, ახალი ხედვები, ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის განვითარებას, მოსწავლეებს დაეხმარება აღიზარდონ კულტურულ-მემკვიდრეობითი, ტრადიციული და სულიერი ღირებულებების შესაბამისად. მოსწავლეებში შემოქმედებითი ნიჭის განვითარება, ჩართულობა, დაეხმარება სხვადასხვა უნარების განვითარებაში.</p>
2.	<p>საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის/კითხვარების დახვეწა</p>	<p>ადმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის სპეციალისტი და კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი</p>	<p>2022-2025 წწ.</p>	<p>განახლებული კურიკულუმები ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს ინოვაციებს. სასკოლო სასწავლო გეგმისა და პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფა დადგინდება მოსწავლეთა და მშობელთა რელევანტური წესით გამოკითხვის საფუძველზე.</p>
3.	<p>მოსწავლეთა და შეფასების სისტემის დახვეწა და გამრავალფეროვნება</p>	<p>ადმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის სპეციალისტი</p>	<p>2022-2028 წწ.</p>	<p>სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ქცევა) შეფასება იყოს გამჭვირვალე. შეფასების სისტემის დახვეწა ხელს შეუწყობს შეფასების ისეთი ინტრუმენტებისა და კრიტერიუმების დანერგვას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა შემდგომი განვითარება და მათი მოტივაციის ზრდა.</p>

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

4.	<p>შეფასების კომპონენტებისა და შეფასების კრიტერიუმების ფორმულირების დახვეწა</p>	<p>აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის სპეციალისტი</p>	<p>2022-2028 წწ.</p>	<p>მოსწავლის შეფასება მნიშვნელოვანია სწავლაში მისი მოტივაციის ამადლებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მას ეროვნულ გამოცდებზე წარმატების მიღწევაში, მისი ცხოვრების გზაზე გასასვლელად მზაობის განსასაზღვრაში, ამიტომ შეფასების მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების სწორი ფორმულირება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.</p>
5.	<p>სსსმ მოსწავლეთა განათლების უზრუნველყოფა</p>	<p>დირექტორის მოადგილე, ხარისხის მენეჯერი, სსსმ მასწავლებელი</p>	<p>2022-2028 წწ.</p>	<p>შეზღუდული და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა განათლებაში ხელშეწყობა გიმნაზიის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, მათი დანარჩენ მოსწავლეებთან ინტეგრირების მიზანია თანაკლასელებთან და თანა-სკოლელებთან ჩართულობის გააქტიურება, მათი შესაძლებლობების შესწავლა და მაქსიმალურად გამოვლენა ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოტივაციის გაზრდას. გიმნაზიაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ადაპტირებული სასწავლო გარემო, თუმცა მისი მუდმივად განახლება აუცილებლობას წარმოადგენს.</p>
6.	<p>ეროვნულ გამოცდების შედეგების სტატისტიკის მუდმივი განახლება</p>	<p>აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის სპეციალისტი,</p>	<p>2023-2028 წწ.</p>	<p>გიმნაზიისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის ცდონა, რომ მისი კურსდამთავრებული დასაქმდა, არამედ მუდმივი, გრძელვადიანი კონტაქტი მათთან და მათი შრომის ბაზარზე მოძრაობის დინამიკის აღწერა, შეფასება, ანალიზი. გიმნაზია დაინტერესებულია ჰქონდეს პასუხები კითხვებზე: მისი კურსდამთავრებული დასაქმდა თუ არა, რა პოზიციაზე? კითხვებზე სისტემატური პასუხების გაცემით, შეძლებს არსებული ვითარების შედარებას და სამერმისოდ ალტერნატიული გეგმების დასახვას.</p>

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

7.	სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა	ადმსრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის სპეციალისტი,	გიმნაზიისთვის პრიორიტეტულია მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა, მენეჯმენტის გაუმჯობესება და ერთიანი ორგანიზაციული კულტურის შემუშავება. დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი ინტელექტუალური გარემოს შექმნას, ეფექტური მომსახურების გაწევას, სწავლება-სწავლის მაღალი ხარისხის მიღწევას, რომლის პროცედურებიც გამჭვირვალობასა და სამართლიანობაზე ერთიან პრინციპზე იქნება დაფუძნებული.
----	---	--	---

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

8.	<p>ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, უსაფრთხო სასკოლო სასწავლო გარემო</p>	<p>სასწავლო პროცესების მართვის მენჯერი, იურიდიული და დაცვის სამსახურის უფროსი</p>	<p>2022-2028 წწ.</p>	<p>გიმნაზიას კარგადა აქვს გაცნობიერებული, რომ სკოლა სოციალური ინსტიტუტია და ყოველი მოსწავლე ამ გარემოს მონაწილე, სადაც სწავლობს კრიტიკულ აზროვნებას, არჩევანის გაკეთებას, ემზადება მომავლისთვის. როცა დაცულია, არავინ ჩაგრავს, არ დასცინის, არ აბულინგებს მას, როცა პროფესიონალები ასწავლიან და იგებს, რასაც ასწავლიან, გრძნობს სიყვარულს; როცა მის აზრს ითვალისწინებენ, პატივს სცემენ. საინტერესო გაკვეთილები, კეთილგანწყობილი მასწავლებლები ქმნიან მოტივიციას.</p> <p>გიმნაზია ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მოსწავლეებმა სკოლაში თავი როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად, უსაფრთხოდ უნდა იგრძნონ, უსაფრთხო სასკოლო სასწავლო გარემო ხელს შეუწყობს მოსწავლეების დაცულობას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლაში უცხო პირების შესვლა მკაცრად გაკონტროლდება, მშობლების სტუმრობა ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით შეტყობინებით დაიგეგმება, თუმცა არც შეზღუდვა არ იქნება მათი სკოლაში სტუმრობისთვის, გიმნაზია თვლის, რომ მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია. გიმნაზია, სკოლის ვებ-გვერდისა და სატელეფონო კომუნიკაციით, მშობლებს სისტემატურად მიაწვდის ინფორმაციას დაგეგმილი სასკოლო ღონისძიებებისა და სკოლის ცხოვრებაში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.</p>
----	--	---	----------------------	--

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა

1.	მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა	აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერები	2022-2028 წწ.	საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია გიმნაზიის უზრუნველყოფა სასწავლო და მატერიალური რესურსებით. გიმნაზიაში მოწყობილი კლასგარეშე აქტივობებისათვის კეთილმოწყობილი ღია სივრცე გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და მათ ჩართულობას სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებით ღონიძიებებში.
2.	ბიბლიოთეკის მოწყობა	აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერები	2022-2025 წწ.	გიმნაზიის მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სადაც გამიჯნული იქნება სამკითხველო დარბაზი და წიგნთსაცავი. გიმნაზია უზრუნველყოფს Open Biblios პროგრამის შესყიდვას და ელექტრონული კატალოგით მკითხველთა მომსახურებას.
3.	სპორტული დარბაზის სივრცის მოწყობა	აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის სპეციალისტი	2022-2028 წწ.	სპორტული დარბაზი გამაჯანსაღებელი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ქცევა) შეფასება იყოს გამჭვირვალე. შეფასების სისტემის დახვეწა ხელს შეუწყობს შეფასების ისეთი ინტრუმენტებისა და კრიტერიუმების დანერგვას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა შემდგომი განვითარება და მათი მოტივაციის ზრდა.
4.	ახალი ბიბლიოთეკის აშენება	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერი	2022-2027წწ.	ამ ეტაპზე ბიბლიოთეკა გამართულია და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, თუმცა მეტი სივრცე, დიდი სამკითხველო დარბაზი დიდი მოტივაცია იქნება მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

5.	ხალი სპორტული დარბაზია აშენება	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერი	2022-2027წწ.	გიმნაზიას აქვს ღია სპორტული მოედანი და დახურული დარბაზისთვის გამოყენებულია სააქტო დარბაზი, სადაც უამინდობის შემთხვევაში, მოსწავლეებს უტარდებათ მაგიდის ჩოგბურთი და ტენისი. გიმნაზიის მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია დახურული სპორტული დარბაზის აშენება და კეთილმოწყობა, რისთვისაც საჭირო რესურსები გიმნაზიას აქვს.
6.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერი	2022-2027წწ.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია დღეისათვის გიმნაზიაში საგნობრივად აგანთავსებული - ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის, რომელიც აღჭურვილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეკომენდაციო სასწავლო რესურსებით. გიმნაზია თვლის, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ერთ სივრცეში განთავსდეს მოსწავლეთა მეტი კომფორტისათვის.